№ 255 ნოემბრის 27, სამშაბათი. 1866—1884 ნოემბრის 27, სამშაბათი. № 255

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и за границы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

## შესანიშნავი მუზეუმი ვინტერისა.

პატივის ცემით ვაცნობებ თბილისის საზოგადოებას, რომ ნოემბრის 8-დამ მუდამ დღეს, დილის 10 საათ. საღამოს 11-მდის გახსნილი იქმნება სახელ-განთქმული სრულიად ევროპაში და რუსეთში ვინტერის მუზეუმი. ჩემი მუზეუმი დიდად წინა დგას და შეუდარებლად უკეთესია სხვა მუზეუმებზე, რაშიაც მნახველნი დარწმუნდებიან ადვილად.



მუზეუმში არის შემდეგი განყოფილებანი: I. მეხანიკური კაბინეტი და თაფლის სანთლის ფიგურები. II. საუკეთესო სურათები: შესანიშნავის ქალაქებისა და უკანასკნელის რუს-ოსმალოს ომიანობისა.

III. დიდი კოლექცია ავტომატებისა, პარიჟის გამოფენაზე შეძენილნი, IV. ისპანიის ინკვიზიცია.

მოკლეს ხანში იქნება ახალი გამოფენა, ფასი შესვლისა დაკლებულია: 30 კ., ბავშვები 10 წლისა და სამხედრო მდაბალის ჩინისანი იხდიან 15 კაპ.

იმედი მაქვს, პატივცემული საზოგადოება კეთილ-ინებებს მობრძანებას ჩემს მუზეუმში, გოლოვინის პროსპექტზე, რაზგონი ფოსტის პირ-და-პირ. (2—2)

THÉATRE GÉORGIEN

(ci-devant Arzrouni)

Vendredi, 30 novembre,

Représentation extraordinaire

donnée par tous les artistes de la

TROUPE GÉORGIENNE.

On peut se procurer des billets pour cette représentation chez M. Richard, Golovinsky prospect. (2—1)

## შინაური ქრონიკა

— ჩვენი გაზეთის მე-236 №-ში დაბეჭდილი იყო პატარა შენიშვნა ანჩის-ხატის მახლობლად დაქცეულ ქვირაცხოვლის საყდრის გამო; შენიშნვაში მოხსენებული იყო, რომ ეს ეკლესია იყო მეტოქი მცხეთის მთავარ-ეპისკოპოსის ეკლესიისა ძველადგანვე; სინოდალური კანტორის ჩინოვნიკმა ს—მა ინება დანგრევა ეკლესიისა და იმ ადგილზედ ააშენა თავლაო, მაგრამ ხალხი კი დღესაც ლოცულობს და სანთელს ანთებს დაკეტილს ქუჩის კარებზედაო.

ამ შენიშნვამ გამოიწვია ბ-ნის ს—საგან «კავკაზის» მე 250 №-ში გულის მღელვარებისაგამო სიცრუით საესე პასუხი. ბ. ს—ი ვითომ გვამტყუნებს და რაც ჩვენ არ გვითქვამს, მის თქმასა გვწამებს, მერმე აღიარებს თავს ნახევრად დანაშაულად და თან თავს იმართლებს ს.,—მე მომინდეს დანგრევა იმ დაძველებული, უვარგისი (!) ეკლესიის შენობისაო, რაზედაც რამდენსამე წელს მიწერ-მოწერა გამართული ჰყო თბ. გუბერნატორისაგან, რომ უბედურება არა მოხდეს-რაო. თავლის აშენება კი მიკვირს—ვისთვის იქნებოდა საჭირო, რომ ჩვენ ცხენები არა გვყავსო. ნასაყდრალი ადგილი შემოზღუდულია და მასზედ შენდება ბაღი, რომელიც სუფთად ინახებაო და იქ არავითარი შენობა არ არისო.“

ჩვენ თვით მივედით ნასაყდრალ ადგილზედ და ჩვენის თვალით ერთ-ხელ-კიდე ვნახეთ: საკუთრად ეკლესიის ნაალაგევზე, გალავანზე მიშენებულია ფიცრული: თავლა, ბოსელი, გომი, საქონლის საბმელი, (რაც გნებავთ დაარქვით), სადაც ბ. ს—ვს ჰბმია მეწველი ძროხა. საკუთრად ნასაყდრალზე ბაღის ხსენება არც კი არის. გალავანი ძველივეა. უწმიდესი სინოდის უკაზით 1863 წ. აგვისტოს 10-დამ, ეკლესია მართალია უნდა დაშლილიყო, მაგრამ ტრაპეზის ადგილზედ ან ნიში (ЧАСОВНЯ) უნდა აშენებულიყო, ან ჯვარი დადგმულიყო და წმიდად შენახულიყო სრულიად ეკლესიის ეზო. ამ უკაზის შემდეგ გავიდა თითქმის თორმეტ-ცამეტი წელიწადი და ეკლესია არ იქცეოდა. შემდეგ დაიქცა ეკლესია და მის ადგილზედ ძროხის დასაბმელი ფიცრული თავლა აიშენა!..

უკაზის ძალით შეგვიძლიან მოვითხოვოთ, რომ ხსენებულს ნასაყდრალზე აგებულ იქმნას ნიში ხატის დასასვენებლად, მით უფრო, რომ საშუალებაც ადვილი მოსაპოვებელია, რადგან დღესაც აუარებელი მლოცველნი მიდიან ყოველ შაბათობით და გალავნის ყრუ კარებზე ანთებენ წმიდა სანთელს და ფულსაც სწირვენ.

— გორის მაზრის მებატონეთ მიუციათ ამიერ-კავკასიის რკინის-გზის გამგებლისათვის ქაღალდი იმის შესახებ, რომ რკინის-გზის კამპანიამ გამოიკვლიოს რკინის-გზის გაყვანის საქმე გორიდამ ცხინვალამდე და განუცხადებიათ, რომ ჩვენის აზრით, ამ მაზრის მცხოვრებნი სიამოვნებით იკისრებდენ როგორც მიწის სამუშაოს ლიანდაგის გასაყვანად, ისე უფასოდ დათმობას ამისათვის საჭირო ადგილისასაო.

— ჩვენ მოგვივიდა გაზეთში დასაბეჭდად წერილი ვინმე ბუჯიაშვილისაგან, რომელიც მოგვითხრობს ვიღაც მატყუარა მხატვარის ტრუსოვის ამბავს: «ჩვენნი მამა-პაპანი—გვწერს ბუჯიაშვილი—სცხოვრობდენ დუშ-

«დროების» ფელეტონი, ნოემ. 27-ს

## ოტელლო

(შემდეგი*)

ამ გვარად, როცა ამ ძნელმა საქმემ პირი წაღმა იბრუნა, ოტელლო თურქებზე გასალაშქრებლად ამხედრებას შეუდგა; ლაშქარს წასვლა მას ქორწილში წასვლად მიაჩნდა, მაგრამ დესდემონაც არ დარჩა შინ; იგიც დიდი სიამოვნებით ემზადებოდა ბრძოლის ველზე ქმრის გვერდში ამოსადგომად: ახალ დაქორწინებულთა მყუდრო ოთახი ბრძოლის ველად ღია კარავს ანაცვალეს.

ვიდრე ოტელლო კვიპრის კუნძულზე ფეხს შესდგამდა, ამბავი მოვიდა, რომ თურქთა ფლოტი ზღვის გრიგალმა გაჰფანტა და კვიპრს საშიშარი აღარა აქვს-რაო. ოტელლო დაშოშმინდა, სული დაილოა და როგორ იფიქრებდა, თუ აწ და მახლობელს მერმისში მას მოელოდა საშინელი ბრძოლა იმ პირთან, რომელთა გულში დიდს ბოროტებას დაუბუდებია საბრალო ქალის დასაღუპავად. რას იფიქრებდა ოტელლო, თუ ეს ბრძოლა ყოველს ბარბაროსთან ბრძოლაზე უმძვინვარესი და უმწარესი იქმნებოდა!

ყველა მეგობართა შორის ოტელლოს ერთად ერთი კასსიო ჰყავდა უფრო მიჩნეული და პატივდებული. იგი ფლორენციელი ახალგაზდა მხედარი იყო; იყო შემკული ყველა თვისებებით, რომელნიც ყოველს ქალს მეტად მოსწონს: მხიარულება, მარჯვე კავალრობა, შეყვარება და მოყვარულობა მის ხელად იყო. მისი სიმშვენიერე და მოხდენილი ლაპარაკი უეცრად იპარვიდენ ხოლმე ქალის გულს. ყველა ამ თვისებათა მქონი კაცი, მოგეხსენებათ, ყოველს ქმარს აღუძრავს ეჭვიანობას, განსაკუთრებით ისეთს კაცს, როგორიც ოტელლო იყო, ხანში შესული, ახალგაზდა ქალზე დაქორწინებული კაცი. მაგრამ ოტელლოს გულში ჯერ ეჭვიანობას ადგილი არა ჰქონდა; მას ცილის წამება და წვრილმანობა ძლიერ ეჯავრებოდა.

კასსიოც მისი მარჯვენა ხელი იყო, ერთი სიტყვით. როცა ოტელლომ დესდემონა შეიყვარა, კასსიო გულწრფელად და ძმურად ეხმარებოდა, რაც კი შეეძლო და შუამავლობდა მათ შორის. ოტელლო თვით გრძნობდა, რომ მაინცა-და-მაინც ვერ იყო ტკბილი და ნაზი ქალთა მოუბარი, ამის გამო დესდემონასთან ხშირად კასსიოს გაგზავნიდა ხოლმე სასაუბროდ და საშუამავლოდ. ოტელლოს ამ გვარი გულ-უბრყვილობა, რომ სთქვას კაცმა, უფრო საქებარია, ვიდრე საძაგებელი და ამიტომაც დესდემონასაც ძლიერ უყვარდა კასსიო, მაგრამ უყვარდა იმოდენად და იმ გვარად, როგორც ყოველს პატიოსანს და სინიდისიანს ქმრიანს ქალს შეუძლიან გარეშე კაცის შეყვარება და პატივისცემა. ამიტომაც ქორწინებას კასსიოსა და ხსენებულ ცოლ-ქმართა შორის დამოკიდებულება სრულიად არ შეუცვლია. როგორც დესდემონას, ისე მავრს ართობდა კასსიოს წყლიანი ენა და ოხუნჯური მუსაიფი. მთელი საღამოები მათთან რჩებოდა. დესდემონას ახლაც ისევე მოსწონდა კასსიოს ოხუნჯობა და უბნობა, როგორც გათხოვებამდის.

ოტელლომ კასსიოს ლეიტენანტობა მისცა. ეს თანამდებობა მათ შორის სიახლოვეს კიდევ უფრო ამტკიცებდა. კასსიოს დაწინაურებამ გული მოუკლა ერთს მისს ამხანაგს, იაგოს, რომელსაც თავის თავი კასსიოზე ღირსეულად მიაჩნდა. იგი ხშირად დასცინებდა ხოლმე კასსიოს: კასსიო მხოლოდ დედა-კაცებში ენის ჭარტალისათვის და თრევისთვის გაუჩენია ღმერთსაო; სამხედრო საქმისა მას იმოდენი გაეგება, რაოდენიც მოტიტინე ყმაწვილ ქალებსაო. როცა კასსიომ იაგოზე მომეტებული ღირსება მიიღო, იაგოს ყელში სისხლი მოაწვა და ოტელლოს შურით გული აემღვრა, რადგანაც კასსიოს დაწინაურებას ოტელლოს აწერდა. მაგრამ ამას გარდა, შურის მიზეზი სხვაცა ჰქონდა იაგოს: მას შეეპარა გულში ერთი სულელური და ცრუ აზრი: ეგონა,

(* იხილე «დროება» № 252.

თის მაზრაში, სოფ. ჯურთას და ჰქონდათ საკუთარი ეკლესია, რომელიც დროთა ვითარებისაგამო დაირღვა. ჩვენ თანამოგვარეთა განვაახლეთ ეს ეკლესია სოფლის დახმარებით და თითქმის სუყველაფერი მოვამზადეთ კანკელის მეტი. ქალაქში ვიპოვე ვიღაც რუსი მხატვარი, გვარად ტრუსოვი შევუკვეთე კანკელი და შევეკარ კიდეც პირობით ოც-და-სამ თუმნად. შვიდ თუმნამდე წინდაწინვე წაიღო წვრილ-წვრილად, მაგრამ სამუშაო არა თუ ვადაზედ არ შემისრულა, თვითონაც გაქრა ძველის სადგომიდამ და თუმცა ბევრი ვეძებე, ვეღარსად ვეღარ ვიპოვეო».

კარგი იქნებოდა, ამბობს ბუჯიაშვილი, რომ საეკლესიო მხატვრების სახელები ერთხელვე ცნობილ იყვნენ და ისე არავის არ შეეძლოს ხატვა ეკლესიისა, თუ ნება-რთვა არა აქვს ამისათვის აღებული და პლანი სასულიერო მთავრობისაგან არ არის დამტკიცებულიო.

ბუჯიაშვილი სთხოვს ყველას, ვისაც სამუშაო მიუცია ტრუსოვისათვის და ამ სამუშაოში ფული ერგება, დაუჩიროს შვიდი თუმანი და გადასცეს «წერა-კითხვის საზოგადოებას» სკოლების სასარგებლოდ.

დასასრულ, ბუჯიაშვილი «მწყემსის» რედაქციასა სთხოვს, გადაბეჭდოს თავის გაზეთში ეს მისი წერილი.

== „ს.-პეტერ. უწყებების“ სიტყვით, ამ დღეებში დამტკიცებულა მინისტრების კომიტეტის დადგენილება იმის შესახებ, რომ ნოტარიუსებისაგან აქტების შესრულება და დამტკიცება უძრავის ქონების დასაკუთრებისათვის ყარსისა და ბათუმის ოლქში მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა საკუთრების უფლების საბუთი რუსულის კანონების წესით არის მოპოვებული. დაუდგენიათ აგრეთვე, რომ ის უძრავი ქონება, რომელზედაც ვალი ირიცხება, არ შეიძლება გაყიდულ იქმნას საჯარო გასყიდვით, თუ ან მოსაკუთრეს, ან გირაოს მქონეს, არ უჭირავთ საბუთი, შემდგარი რუსულის კანონების წესითვე.

== ნოემბრის 23-ს აკურთხეს წმ. ნინოს საქალებო სასწავლებლის ეკლესია. კურთხევაზე დაესწრნენ თ. დონდუკოვ-კორსაკოვი მეუღლით, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ სასწავლებლის წარმატების საქმეში.

== ახალი მოცილე ბაქოს ნავთისა და ტყიბულის ქვა-ნახშირისა: სტამბოლის გაზეთები იწერებიან, რომ ქ. მუსულაში ხუთს ადგილს აღმოჩენილა დიდი წყაროები ნავთისა, და აუარებელი მადნები ქვა-ნახშირისა.

== შვეციის და ნორვეგიის მეფის შვილი, მემკვიდრე ტახტისა, პრინცი ოსკარ-გუსტავ-ადოლფი მიემგზავრება აღმოსავლეთისკენ ამ მხრის შესასწავლებლად.

## თეატრი

ჩვენის გაზეთის სათაურში დაბეჭდილმა ფრანცუზულმა განცხადებამ ქართულს წარმოდგენაზედ იქნება მკითხველები გააცვიფრონს და ამიტომ საჭიროდ ვხადით ეს გამოცანა აუხსნათ მათ:

ჩვენს საზოგადოებაში აღძრულმა ინტერესმა ჩვენის ძველის ლიტერატურისადმი გამოიწვია ძველის წიგნების გამოცემა და სხვათა შორის რუსთაველის უკვდავის ქმნილებისაც. ამ გამოცემასთან ერთად ბ. ი. მეუნარგიამ განიზრახა «ვეფხვის-ტყაოსნის» ფრანცუზულს ენაზედ გადათარგმნა და ბ. მურიეს დახმარებით ეს მეტის-მეტად ძნელი საქმე დღეს შესრულებულია. ამ გარემოებამ მოაგონა ჩვენს საზოგადოებას და განსაკუთრებით ჩვენს სათეატრო დასს ის ღვაწლი, რა ღვაწლიც ფრანცუზმა მოგზაურებმა და ისტორიკოსებმა: ბროსემ, დიუბუადე მონპერემ, ლენორმანმა, ბატეირასმა და სხვათა დასდვეს ჩვენს ლიტერატურასა და ისტორიას და მოიწადინა ამ ამაგის გადახდა მცირედის სამსახურითაც არის. და აი, პარასკევის წარმოდგენა ჩვენმა დასმა უძღვნა აქაურ ფრანცუზების კოლონიას და მათს საქველმოქმედო კომიტეტს, რომელიც თბილისშივე არსებობს. მოთავემ ამ კომიტეტისამ და აქაური კოლონიისამაც ბ. საფრანგეთის კონსულმა დიდის სიამოვნებით მიიღო ეს წინადადება. დასმა ისეთი პიესები ამოირჩია, რომელნიც ჩვენს სტუმრებს ცალკე ქართულ ცხოვრებას გააცნობენ, ცალკე უჩვენებენ იმის ნიმუშს, თუ როგორ თამაშობს დასი ფრანცუზულის ენიდამვე გადმოღებულ პიესებს. პროგრამას ამ წარმოდგენისას მკითხველი ჩვენს გაზეთშივე წაიკითხავს.

* * *

პარასკევს, ნოემბრის 25-ს, არწრუნისეულ თეატრში წარმოადგინეს სამმოქმედებიანი კომედია ბ. სუნდუკიანცისა «დაქცეული ოჯახი» და ერთმოქმედებიანი ვოდევილი «დატრიალდა ზარა». კომედია ბ. სუნდუკიანცისა თუმცა ჩვენის ცხოვრებიდამ ნამდვილად გარდმოღებული სურათია და მარჯვე სიტყვებითა და ფრაზებით სავსე, როგორც საზოგადოდ ყველა მისი პიესები, მაგრამ, სამწუხაროდ შინაარსით მეტად ღარიბია.

მაჭარი ოსეფა კოტრდება ცალკე იმიტომ, რომ იმისი შინაურები ვერა გრძნობენ მისს გაჭირებულს მდგომარეობას და განცხრომით ცხოვრებას არ იშლიან, ცალკე მისი ამხანაგის, მეორე ვაჭრის ცბიერებით. მთელი შინაარსი დამყარებულია ამ ამბავზედ და მაყურებელი იძულებულია მთელი სამი მოქმედების განმავლობაში წამ და უწუმ მოისმინოს ოსეფასაგან ქადაგების მზგავსი მონოლოგები ჩვენს დაცემულს დროზედ, მეგობრების გაუტანლობაზედ, შვილების შეუფერებლად ცხოვრებაზედ,—ერთის სიტყვით ოსეფა არის ტიპი პესიმისტისა, რომლისათვის ხალხსაცა და ქვეყანასაც ბნელი ზეწარი გადაჰფარებია და არსაიდამ სიამოვნების სხივი არ გამოსჭვირს. ძნელი იყო მდგომარეობა ბ. ყიფიანისა ამ როლში და თვისის თამაშობით უფრო კიდევ გააძნელა იგი. დასაწყისიდამვე, როდესაც ოსეფას არა აქვს ისეთი მიზეზი ქვეყნისადმი სამდურავისა, როგორც თანდათან მიეცემა შემდეგ ამხანაგის ღალატისა და მისის ქონების აწერისა,—მან ისეთს კილოზედ დაიწყო ლაპარაკი, რომ ამ კილოს მომატება თითქმის შეუძლებელი იყო. ამ გვარად პირველი სცენები მეტის-მეტად გაზვიადდენ და უკანასკნელთ კი ძალა აკლდათ და ამის გამო იმ შთაბეჭდილებას ველარა სტოვებდენ, რა შთაბეჭდილებაც უნდა დაეტოვებინათ. სხვა წარმომადგენელნი ყველანი თავ-თავიანთ ალაგას იყვნენ, მეტადრე ბ. აწყურელი, რომელმაც შეუდარებელის სინამდვილით წარმოადგინა გიჟ-მოზეს ტიპი. ეს ტიპი ხელოვნებით არის ბ. სუნდუკიანცისაგან ცხოვრებიდამ გადმოხატული და მოგვაგონებს იმ ზოგიერთა პირებს, რომელთაც გიჟის სახელი იმითი დაიმსახურეს, რომ მოურიდებლივ ყველას პირში მართალს ეუბნებიან და ავკაცობას — ავკაცობას უძახიან და არა ჭკუასა და მოხერხებას.

ხალხი წარმოდგენაზედ ბლომად დაესწრო და მეტის-მეტად კმაყოფილი დაიშალა ბ. კ. ყიფიანის ხელოვნური თამაშობის შემდეგ ვოდევილში.

---

რომ მავრს მისი ცოლი უყვარდა. თუმცა ეს ეჭვი სრულიად უსაფუძვლო იყო, მაგრამ იაგომ შეიძულა ოტელლო და შეიძულა ისე, რომ განიზრახა მეტის-მეტად საზარელი შურის ძიება: მას უნდოდა ერთად დაელუპა ოტელლოც, კასსიოც და დესდემონაც.

იაგო საშინელი მცბიერი რამ იყო. მას კარგად ჰქონდა გაცნობილი კაცის ხასიათი და ბუნება და იცოდა, რომ ყოველს ვნებაზე უფრო კაცის მქენჯნავი და მწვალებელი ეჭვიანობაა; იცოდა, რომ ამ ვნებას შეუძლია საუკეთესო გულითადი მეგობრები მტრად გადაჰკიდოს ერთმანეთს; ამითი უნდოდა ესარგებლნა ბოროტს იაგოსაც. ოჰ! რა საშინელი პლანი შეადგინა შურის საძიებლად! ოტელლოს ეჭვი აღებინა კასსიოზე, ვითომ დესდემონას ჰყვარობსო და უნდოდა საქმე დუელზე მივარდნილიყო; თუ ასე მოხდებოდა, ან ერთი, ან მეორე ამ სოფელს გამოეთხოვებოდა და იაგოს მეტი არა უნდოდა-რა. იაგოსათვის განზრახვა და სიტყვა საქმე იყო: იმ წამსვე შეუდგა განზრახულის განხორციელებას.

გენერალის კვიპრზე მისვლამ და მტრის «დაშამათებამ» ისე გაახარა იქაური მცხოვრებლები, რომ ოტელლოს მოსვლის დღე იდღესასწაულეს, დიდი ლხინი და სასიომალო გამართეს. ყველა ერთმანეთს ეპატიჟებოდა, ყველანი ერთმანეთს შეჰხაროდენ, მაგრამ უმეტესად გენერალს და მისს მშვენიერს მეუღლეს, რომელთა სადღეგრძელოს დახარბებულივით ეწაფებოდენ. კასსიო ამ დღეს დარაჯ-აფიცრად იყო დაყენებული და ნაბრძანები ჰქონდა გენერალისაგან სალდათებისთვის მკაცრად ყური ეგდო, რომ არ დამთვრალიყვნენ, თორემ ცუდს რასმე ჩაიდენდენ და ახალი ჯარის მოწვევა იქმნებოდა საჭირო, ხოლო ეს მცხოვრებთ შეაწუხებდა. ამ დღეს შეუდგა იაგო თავისი საზიზღარი აზრის საქმედ ქცევას. მარხულობის დრო სწორედ სრულიად არ არის დღესაო, უთხრა იაგომ კასსიოს, ღვინის დალევა მაინც-და-მაინც არაფერს წაახდენსო. კასსიო ჯერ არ დაეთანხმა, მაგრამ რაკი ძლიერ ჩააცივდა, ერთი სტაქანი დალია; უარი ველარც მეორეზე სთქვა, მეორეს მესამეც მოჰყვა. შეჰყვა სმას კასიო სიმღერითა და საუბრით გართობილი და ისე დაითრო, რომ ენა პირში აღარა ჰქონდა. ამ დროს უფრო-და-უფრო მოურიდებლად დაიწყო ლაპარაკი დესდემონაზე, მისი სადღეგრძელოები გაახშირა, და უწყო ქება: ამბობდა რომ მასზე უკეთესი ქალი ქვეყანაზე არ მოიძებნებაო. იაგომ უფრო-და-უფრო შეაპარა ღვინო და იქამდის მიიყვანა, რომ გრძნობა დააკარგვინა. აი, იაგოსათვის მარჯვე დრო! იაგომ ჩააგონა ერთს აფიცერს, ვითომ კასსიო მისი მობეზღარი იყო, შეაცდინა და ეს თავ-ბრუ დასხმული კაცი დუელში გააწვევინა. როცა ხმლები იშიშვლეს, მათ შორის გამშველებლად ერთი აფიცერი ჩამოვარდა, მაგრამ კასსიომ თავი ვერ შეიმაგრა, მისწვდა თავის მოწინააღმდეგეს და დასჭრა. ამის გამო ასტყდა საშინელი არეულობა. იაგო, თავი მიზეზი ამ საქმისა, ეხლა მოზავეს ტყავში გაეხვია და ვითომ ჩხუბის მოშლისათვის ზრუნავდა: ჰკრა საყვირს, დაარეკინა ციხის ზარი, ვითომ და აფიცერთა კინკლაობა ქალაქს დიდს უბედურებას უქადოდეს. ზარის ხმაზე გენერალს გამოეღვიძა, უცბად ტანთ ჩაიცვა, მოვარდა, სადაც არეულობის ხმა იყო და არეულობის მიზეზის გამოკითხვა დაუწყო კასსიოს. გენერალის ხმაზე კასსიო გონებას მოეგო, გაახსენდა, რაც ჩაიდინა, და, სირცხვილის გამო, ერთი სიტყვაც ვერ წარმოსთქვა თავის გასამართლებლად; მერმე იაგოს დაუწყო გამოკითხვა. იაგო ჯერ-ჯერობით შედგა, ვითომ არ უნდოდა კასსიოს საქმის გამოაშკარავება, მაგრამ მერმე სულ დაწვრილებით უამბო გენერალს. თავში ისე მოახსენა გარემოება, თითქო კასსიოს გამართლებას აპირებსო, მაგრამ შემდეგ ისეთი კილო მისცა მოხსენებას, რომ კასსიო უფრო მაგრად გააბა მახეში. ამის გამო კასსიო უფრო დამნაშავედ შერაცხა გენერალმა, როგორც დამცველმა მკაცრის სამხედრო დისციპლინისამ: კასსიოს ლეიტენანტობა აჰხადა და იაგოს ჩაა-

## კახეთის ავი და კარგი.

(დასასრული *)

დავაკვირდეთ ქალაქის შინაგან მხარესაც, მის ცხოვრებას, მის საზოგადოებას. თელავის საზოგადოებას ანუ ინტელიგენციას შეადგენენ სამსახურის კაცნი, ანუ მოხელენი და ორიოდე ისრე მცხოვრები თავადიშვილი. ეს უკანასკნელნი მით განირჩევიან სოფლელ მემამულეთაგან, რომ მამული სოფლად აქვთ და თვითონ კი თელავში სცხოვრობენ მომეტებულად თავიანთის სიამოვნებისათვის. რაც შეეხება მოხელეებს, მათი ტიპი მკითხველ საზოგადოებას მგონი კარგად აქვს წარმოდგენილი და გამორკვეული; რომ მათ აქვთ თავიანთი პიროვნული სახე, თავიანთი მიმართულება, ფიზიონომია, ამასაც თქმა არ უნდა. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ თელაველი მოხელეები, გარდა ერთი ორისა, სულ ქართველები ბრიან და, მათი სიტყვით, ქართველობენ კიდეც, დიახ, ქართველობენ, მაგრამ მარტო ცარიელი ლიტონი სიტყვით. სიტყვა-პასუხი დიაღ კარგი, ბრძნული, დარბაისლური აქვთ ხანდისხან მჭევრ-მეტყველური კიდეც და მითი აიხსნება, რომ ზოგიერთებს და მომეტებულად თელაველებს გულის სიწრფელით ჰსწამთ მათი მოღვაწეობა და სასარგებლო მოქმედება—თითქო ჭკუა თვალებში აქვთო, ჰგონიათ, რომ დიდკაცებში დიდი ჭკუა და ჰაზრები ჰბუდობენ. ამის გამო იგინი (მოხელენი) თითქმის პირველ კაცებად, მესვეურებად ითვლებიან თელავის საზოგადოებისა: მაგრამ ხე თვისი ნაყოფით იცნობება. შეიძლება დიდი ნიჭისა და ენერგიის პატრონნი იყვნენ იგინი, შეიძლება ღრმა იყოს იმათი აზრი, ძლიერი იყოს იმათი სიტყვა, შეიძლება კარგი იდეალები და მისწრაფებანი ჰქონდეთ დახატული თავში, მაგრამ ეს ცხადია, რომ მომეტებული ნაწილი მათი მისცემია უაზრო და უმოქმედო ცხოვრებას, დასწაფებია კმაყოფილებას და ტკბილ სიამოვნებას. მართალია კაცს ორნაირი ცხოვრება უნდაო: ხორციელი და გონებრივი, მაგრამ ჯერ პირველ ნაირი ცხოვრებისათვის ვიზრუნოთო; ეს არის: ჭამა, სმა, სიამოვნება და ძილი. სხედან თბილ ადგილებზედ, იღებენ თავიანთ სამყოფ გროშებს და ყოველ საქმეში ფრთხილად მოქმედობენ, რომ მყუდრო ცხოვრება არავინ შეურყიოს. შეჰსჩვევიან ამ აზრით უსაქმობას, სიამოვნებას და შიგ ნიჭსაც ლუპავენ და ზოგიერთნი — ახალ-გაზრდობასაც. ყველამ იცის, კაცი რომ შინ ფეხმოკეცილი და გულხელ დაკრეფილი დაჯდება, ჭამისა და ძილის მეტზედ არაფერზედ იზრუნებს, რასაკვირველია, მის სულსა და ხორცს ძალა თანდათან შემოაკლდება და ბოლოს სრულიადაც შემოელევა.

ამათგან გამოკლებას უნდა შეადგენდენ მოზარდი ახალთაობის აღმზრდელნი. დიაღ, სხვა სურათსა და მაგალითს წარმოგვიდგენს მასწავლებელთა დასი, გარდა ზოგიერთა პირებისა. ამისთანა საზოგადოებაში, როგორიც თელავშია, მათ, გარდა თავიანთ პირ-და-პირი მოვალეობისა, ბრძოლა და ჯაფა არ დაელევათ; შევიწროებანი, ნაკლებულებანი და მოწინააღმდეგენი გარს ახვევიან, მაგრამ თავიანთს არ იშლიან, გულ-მხურვალედ ეკიდებიან სასარგებლო საქმეს და მახლობლებს კაცური ცხოვრების მაგალითს აძლევენ. შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ თელავის გონებრივის ცხოვრების ძალას ესენი შეადგენენ; მაგრამ, სამწუხაროდ არ არის მათში კიდევ სასურველი ერთობა, თანხმობა და კავშირი. ეს პატარა ძალა მოქმედობს დაულალავის ვ. რ—შვილის მოთაოსნობით. ამ უკანასკნელის წყალობით ეხლა თელავი ღარიბი არ არის საზოგადო დაწესებულებებით. ეს მეოთხე წელიწადია, რაც შესდგა დამზოგველი საზოგადოება და გაიხსნა მისი სავაჭრო დუქანი, მას მოჰყვა შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა, დაარსდა სამოქალაქო სასწავლებლის ღარიბ მოსწავლეთა შემწე საზოგადოება, წლეულ გაიხსნა კიდევ საზოგადო წიგნთ-საცავი. ამაებზედ მეორე და ჯერ-ჯეროობით კი მოველაპარაკები მკითხველს ერთს საზოგადო სცგანზედ, რომელიც წარმოგვიდგენს მთელი თელავის საზოგადოების მეცადინეობის ნაყოფს: ეს გახლავსთ კლუბი.

კლუბი დაარსებულია იმ აზრით, რომ თელავის საზოგადოებას შეაძლებინოს თავისუფალი დრო რიგიანად, სასარგებლოდ და უკედ გაატაროს, ვიდრე მის დაარსებამდის ატარებდა, როგორც თხოულობს თვით წესდება ამ საზოგადოებისა, მაგრამ სარგებლობა კი არა, იმისი მსგავსიც არ არის რა. კლუბსაც თავისი სასარგებლო მხარე და მნიშვნელობა აქვს, ამას უარს ვერავინა ჰყოფს, მაგრამ კარგს კარგი მოხმარება უნდა. ბავშვს რო ამოლებული ხმალი მისცეთ, ხელებს დაიჭრის. კარგი ეს გვიყო კლუბმა, რომ წინედ ბანქოს სათამაშოდ კერძო სახლებში იშვიათად იკრიბებოდენ, რადგან შინაური გარემოება კერძო სახლისა ყოველთვის ხელს არ უწყობდა; ეხლა კი დიდ ცოდვად მიაჩნიათ, რომ ერთი ღამე დააკლონ და ქაღალდი არ ითამაშონ. რვა საათზედ დამსხდარნი ბევრჯერ სამ საათზედ კიდევ გვიან იშლებიან. მართალია, ღამის პირველ საათის შემდეგ აკრძალ-ულია წესდებით თამაშობა და საზოგადოდ კლუბში დარჩენა და ჯარიმაც არის დადებული, მაგალ. თუ დანიშნულს ვადას ორი საათი გადააცილა ვინმემ, უნდა გადიხადოს 28 მან., მაგრამ ვინ არის ხმის გამცემი, წესის დამცველი. თვით კლუბის გამგენი ანუ უფროსნი არღვევენ წესებს და ჯარიმას ვინღა გააწერს მათ? თვითონ არიან მოსამართლენიც, ბრალმდებელნიც და ბრალდებულნიც. მოიპოვებიან ზოგიერთა პირნი, რომელთაც საჭირო საგნად გარდაქცევიათ ჟურნალ-გაზეთების კითხვა, მაგრამ აქაც იგივე მებანქოები არ ასვენებენ და ხელს უშლიან. იმდენი გახლავან აქ ბანქოს მიმყოლნი, რომ ზალაში რომ ვერ ეტევიან, საკითხავ ოთახში ჩასხდებიან ხოლმე; ასტყდება მაღლა ხმით ლაპარაკი, აყალ-მაყალი, ვაი-ვაგლახი. წადი და იკითხე იქ ცოტათი მაინც გულ-დასახმობი რამ წერილი. ეს კიდევ არაფერი—ეს თაფლი და შაქარია. ამ ბოლოს დროს კლუბში კინაღამ სამუშტი-კრივო მოედნადაც არ გარდაიქცა, მაგრამ აქ შევდგებით თორემ კლუბის სკანდალების აღწერა შორს წაგვიყვანს ძლიერ.

*) იხილე „დროება“ № 254.

# ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი“)

ნოემბრის 24.

პეტერბურგი. „მმართველობის მოამბე“ კატეგორიულად უარ-ჰყოფს «ზარია»-ში დაბეჭდილს და სხვა გაზეთებისაგან გადაბეჭდილს კორესპონდენციას სლუცკიდამ. კორესპონდენცია შეეხებოდა სლუცკის მაზრის დაწესებულების მოქმედებას 1883 წ. სამხედრო გადასახადის თაობაზედ და მოიხსენებდა, რომ იგი შესდგებოდა იმ გვარ ბოროტ-განმზრახველთაგან, რომელთაც აზრადა ჰქონიათ სამხედრო გადასახადის ვალდებულთა ებრაელთა მოტყუება.

მოსკოვი. გუშინდელს სხდომაზედ სკოპინის ბანკის საქმის შესა-

---

ბარა. ამ გვარად პირველად იაგომ მეტის-მეტად გაიმარჯვა: მან დაამცირა, მიწასთან გაასწორა თავისი ვითომ მეტოქე და მოწინააღმდეგე; გასვარა იგი, შეაძულა ოტელლოს და მისი ადგილი თვით იგდო ხელში. მაგრამ ამ სახიფათო ღამეს მეორე, უფრო საშიში მახე უნდა დაეგო იაგოსთვის.

როცა გენერალი წავიდა, კასსიო სრულიად გამოეფხიზლა, გონებაში ჩავარდა და მწარე სასოწარკვეთილებას მიცემული, იაგოს შესჩიოდა: «დავკარგე კეთილი სახელი და პატიოსნება; მე დღეს კაცი კი არა, პირუტყვზე უარესი ვარ» მწარე მოთქმით და ოხვრით ელაპარაკებოდა იაგოს. მართლადაც მისი ახლანდელი მდგომარეობა თავში საცემი იყო. რა პირით შეეძლო გენერალისათვის ეთხოვნა უწინდელი ადგილი? რომ კიდევაც გაებედა და ეთხოვა, ხომ გენერალი ასე ეტყოდა: „შენ ლოთი ხარ!“— ეს ფიქრი უწყლავდა მას გულსა და გონებას. ვითომ იაგოს ძლიერ აწუხებდა მისი ჭირი და ამ გვარად ანუგეშებდა: «განა ესეთი საქმე სხვას არ შემთხვევია! განა ამისთანა განსაცდელში შენს მეტი არავინ ჩავარდნილა?»

ბოროტს იაგოს უნდოდა ამ ნუგეშის ცემითაც ესარგებლნა და აი, რა ურჩია საბრალო კასსიოს; იცი, კასსიო, თუ მართალს ვიტყვით, ჩვენი გენერალი ახლა დესდემონაა; მას შეუძლია ოტელლოს ყველაფერი აქმნევინოს, ოტელლოს გული მისს ხელშია და საითაც უნდა, იქით მიაბრუნებს: დაწვრილებით უამბე ყველაფერი შენი გარემოება და სთხოვე გენერალს შეგარიგოს. ხომ იცი, რა კეთილი ქალია დესდემონა: ის ეცდება, რაც შეძლება აქვს და, აბა ნახავ, თუ შენსა და გენერალს შორის აღრინდელი ურთიერთობა არ განახლდეს; მე მგონი, აღრინდელზე უფრო მტკიცე მეგობრული კავშირი დამყარდეს თქვენს შორის შემდეგ ამ უკმაყოფილებისა.“

ეგ მართლა, რომ მოხდენილი და სასარგებლო რჩევა იყო, რომ ბოროტს იაგოს მისთვის ბოროტი განზრახვა სარჩულად არ დაედო. მკითხველი ქვემოდ გაიგებს, რა იყო ეგ განზრახვა. კასსიო ახლა ყველაფერში ერწმუნებოდა იაგოს. იმ წამსვე წავიდა დესდემონას შესავედრებლად. დესდემონამ დიდი სიამოვნებით იკისრა ეგ საქმე: მისთვის კეთილი საქმის გაკეთება — აღდგომა დღე იყო. კასსიო სრულიად დაიმედა, რომ ამ საქმის გამობრუნება ძლიერ ადვილად შეეძლო მას. მართლადაც დესდემონამ ოსტატურად აღასრულა აღნათქვამი. თუმცა-ღა გენერალს ძლიერ შეურაცხყოფილად მიაჩნდა თავი კასსიოსაგან, მაგრამ დესდემონას თხოვნას როგორ გადუვიდოდა და აპატია შენაცოდები. მაური ცოტახანს უარზე იდგა. «ამას მოფიქრება უნდა, ამ გვარი შეცდომა მხედრისათვის ძნელი შესანდობელიაო» უთხრა ოტელლომ თავის მეუღლეს. მაგრამ დესდემონა დაჟინებითა სთხოვდა: „თუ ამ საღამოს არ გაანთავისუფლებ, ხვალ მაინც და თუ ხვალ არა, ორი დღის შემდეგ კასსიო უთუოდ შესაწყნარებელი იქმნება შენგანო“. გენერალი კიდევ ყოყმანობდა. ახლა დესდემონამ დაწვრილებით აღუწერა აფიცრის შენანება და დანაშაული, უთხრა, რომ კასსიო მაინც-და-მაინც არ ყოფილა მეტის-მეტი დამნაშავეო, ისეთი ბოროტ-მყოფელი, რომ ასე სასტიკად დაისაჯოსო და თან დასძინა: რაო! შენ არ გნებავს გაანთავისუფლო მიხელ კასსიო, რომელსაც ფეხის გადადგმაზე არ იშორებდი, როცა ჩემი სიყვარულის ხელში ჩაგდებას აპირებდიო; შენ არ გინდა შეურიგდე მას, რომელიც გააფთრებული გესარჩლებოდა, როცა შენზე ტოტა რამ ძვირს განზრახ ვიტყოდი ხოლმე?! განა ამ საქმისათვის მე ამოდენს შრომას და ხვეწნას უნდა ვეწეოდე! მე მგონი ეგ უმცირესი რამ თხოვნაა ჩემგან. არა, ეს თხოვნა სიყვარულის გამოსაცდელი თხოვნა არ გეგონოს, მერწმუნე, იმისთვის უფრო მძიმე და ძნელად აღსასრულებელი რამ უნდა მეთხოვნა.

რაღა თქმა უნდა, რომ ამისთანა მთხოვნელს ოტელლო უარს ვერ ეტყოდა: და შეჰპირდა, რომ იგი კასსიოს გააბედნიერებს შერიგებით.

ს—ნ ყ—ნი.

(შემდეგი იქნება).

ხებ რიკოვმა, რომლესაც მას ჰკითხეს, დამნაშავედ აღიარებს თუ არა თავსა, უპასუხა ყოყმანობით: „ვაღვიარებ, ჰო, მაგრამ მხოლოდ ზოგიერთის მუხლის შესახებ"; დანარჩენნი ბრალდებულნი უარჰყოფდენ თავიანთ დანაშაულობას ბანკის კარგს მდგომარეობაზე დაბეჭდილის რეკლამების წაკითხვის შემდეგ, რომელნიც „საგუბერნიო უწყებებში" იბეჭდებოდენ. თავსმჯდომარემ ჰკითხა რიკოვს: „ასე განგებ რად ატყუებდა საზოგადოებას". რიკოვმა სთქვა: „ეხლა აღელვებული ვარ, არ შემიძლიან გიპასუხოთ". მთავარნი ამხანაგნი რიკოვისა, რუდნევი და იკონნიკოვი უცოდინრობით მართლულობდენ თავს, უვიცნი ვიყავით და ამის გამო ვაწერდით ხელს ქაღალდებს წაუკითხველად, ხოლო რჩევაში არ ვესწრობოდითო. მოწამემ — კონკურსის თავს-მჯდომარემ როძევიჩმა ჩვენების დროს სთქვა, რომ ფულის შეტანნი ბანკში სულ 6000-მდე არიანო და შეუტანიათ $11_1/^2$ მილიონიო. მათ შორის მომეტებული ნაწილი სამღვდელონი, სამხედრო პირნი და ჩინოვნიკები არიან და მასთან ყველანი ქალაქ გარეშე მცხოვრებნიო; რიკოვს მართებს ბანკისა 7 მილ. მან. და ბევრს სხვას მართებს 80—600 ათასამდე; მოწამეს აზრით, ლიკვიდაციის შემდეგ კრედიტორები 18 კაპ. მომეტებულს ვერ მიიღებენ მანეთზედ; ხოლო ყოველივე ქონება ქ. სკოპინისა რომ გაიყიდოს, 10 კაპ. კიდევ მოემატება ამ ფულსაო.

**ლონდონი.** ლორდების პალატამ მიიღო მესამედ წაკითხვის შემდეგ კანონი საარჩევნო ცვლილებისა; საზოგადოებათა პალატამ მეორედ წაკითხვის შემდეგ მიიღო კანონი ხელ-ახალის განაწილების შესახებ საარჩევანო უბანთა და თემთა.

**პარიჟი.** ხალხთა-შორებრივმა კომისიამ სუეზის არხისამ დაამტკიცა პროექტი სუეზის არხის გაგანიერებისა.

**ბუხარესტი.** სამინისტროს გადადგომის მიზეზი ის იყო, რომ საპარლამენტო არჩევნები ახალის საარჩევანო კანონით მოხდა, რის გამოც კაბინეტის შედგენაც ახალ საპარლამენტო უმრავლესობის შესაბამად უნდა მოხდეს.

ნოემბრის 25.

**პეტერბურგი.** სენატორი შამშინი დანიშნულია გამგებლად სამიჯნო ნაწილისა.

**ლონდონი.** კოროლევამ დაამტკიცა წესი საარჩევნო რეფორმებისა. პარლამენტის კრებები შესწყდა თებერვლის 19-დე.

ნოემბრის 26-ს.

**პეტერბურგი.** „ს-პეტერბურგის უწყებანი" იწერებიან, რომ მომავალის წლისათვის ბალტიის ქარხანა შეუდგება ჯავშნიანი გემის კეთებას, რომელიც უდიდესი იქნება ყველა ჩვენს გემებზე და ეგვანება იტალიანურს გემებს.

**პარიჟი.** გუშინ შეიკრიბა დიდძალი უსაქმოდ დარჩენილი მუშა ხალხი; კრებაზედ გაცხარებით ლაპარაკობდენ, მუშათა შორის შეტაკებანიც მოხდენ, მაგრამ გარედ ქუჩაში არავითარი უწესოება არ ჩაუდენიათ.


# განცხადებანი

ამ თვის 18-დამ „წერა-კითხვის საზოგადოების"

**კანცელიარია.**

გადატანილ იქმნა ძველის სადგომიდამ კუკიაში, მიხაილოვის ქუჩაზედ' გიორგი ქართველიშვილის სახლებში.

(3—2)

**ქ. გორში.**

დავიწყე დღეიდგან საქმის წარმოება. ყველა მსურველთ გავუყიდი სწრაფად მაზანდაზედ ყოველს მათს მიწის ნაწარმოებს, პირუტყვს, საქონელს და მატყლს. ვუყიდი ყველა ნაირს სავაჭროს გამოგზავნილის სიებით, აგრეთვე გამოვუწერ როგორც რუსეთიდამ, ისრე სამზღვარ გარეთიდამ ყველანაირ სავაჭროს, მანეთში $20_0/^0$ წინ მღებით ვეთ გასაგზავნად ფაბრიკის პატრონებთან, დანარჩენს ფულს მივიღებ საქონლის ჩაბარების დროს. ვიღებთ იჯარით სახლების სამხატვროს (სამალიარო) საქმეს და შპალერების გაკვრას გორის მაზრაში ყველგან, ამავე ნაირად სადაც რკინის გზაზედ მატარებელი ჩაუვლის ერთ ვერსამდინ ბაქოდან ფოთამდე და ბათუმამდე.

იანვრის პირველს 1885 წელს დავიწყებ გასყიდვას პარტიობით და წვრილადაც ზეთით გალესილ კრასკებს, კისტებს, ყველა ნაირ ლაკს მოხარშულ ზეთს და მშრალი კრასკებისას. ფასები წერილებთაც შეიძლება ვაცნობო მუშტარს.

კამისიას ავიღებ სავაჭროებისთვის 50 მანეთამდე, მანეთზედ 3 კაპ. 100 მანეთამდე მანეთზედ 2 კაპ. 500 მანეთამდინ — თითო კაპ. და ზემოდ ნაკლებს მორიგებისამებრ. მივიღებ და გავგზავნი ყოველგან საქონლებს ხარჯ გარდა ფუთს ერთის კაპეიკის. კამისიით ფულიან პაკეტებს, წიგნებს ტელეგრამას, განცხადებას მივიღებ და გავგზავნი კუთვნილებისადმი უკამისიოდ; პირნახულებისთვის და სამალიარო წამლებისთვის იქნება ბინა.

თ. ბეგთაბეგოვების შენობაში, ფრანგების ეკლესიის ახლო და სამწერლო სახლი თ. ნიკოლოზ დიასამიძის შენობაში დიდ სახემწიფო ქუჩაზედ.

(12—3) ალალო თუთაევი.

**ძმ. ჭილაძეთა წიგნის მაღაზია**

# ქუთაისში

აცნობებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ მან საკუთრებად შეიძინა მთელი გამოცემა აკაკის განთქმული პოემის **თორნიკე ერისთავისა**, რომელიც ისყიდება მხოლოდ ამ მაღაზიაში, ექზემპლიარი თითო მანეთად. იქვე ისყიდება ყველა ქართული გამოცემანი, სხვათა შორის: სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი, ვის-რამიანი, თ. გ. ერისთვის თხზულებათა კრება ჩინებულს ყდაში და სხ. ყოველ-გვარი სახელმძღვანელოები ქართულს და რუსულს ენაზე, სასწავლო და საკანცელარიო კუთვნილებანი. ამავე მაღაზიამ შეიძინა უფლება და შეუდგა გამოცემას ჩვენი ორი დიდი პოეტის **ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის** თხზულებათა კრებისას.

(10—7)

**ვმართავ**

მოშლილ საკერავ მაშინებს ყოველ გვარის ფაბრიკისას, ალექსანდროვის ბაღის პირ-და-პირ, მირიმანოვის სახლებს ქვეით, არჯევანიძის სახლებში, № 13. შესავალი ეზოზეა.

(3—3) ფ. გინცელი.

მომზადება და გასყიდვა ხსენებულის წასასმელის წამლისა, რომელშიაც არა ვითარი კაცის ჯანისათვის მავნებელი ნავთიერება არ ურევია, ნება — დართულია მოსკოვის საექიმო მმართველობისაგან საერთო სავაჭრო წესით.

**„პ ე რ უ ი ნ ი"**

წვენი პერუვინელ საბალზამო მცენარეთაგან, დიდის ხნიდამვე ყველა ქვეყნებში ცნობილი საშუალება.

**ხშირის და ლამაზის წვერის გასაზრდელად.**

წვენი, რომელსაც ამზადებენ პერუვინელ მცენარეთაგან, როგორც ვიცით, ზოგიერთა თმის საზრდელ და თმაზე წასასმელ წამლების არევით, იღებთ შესანიშნავს თვისებას წვერის თმის ძირის გამაგრებისთვის და საკვირველად სწრაფად ეხმარება მის ზრდას.

**ეს საშუალება ისეთი ნამდვილი საშუალებაა,**

რომ პერუინის ხმარებით თვით ახალ-გაზდა ყმაწვილებსაც კი რამდენსამე კვირის შემდეგ, ეზრდებათ მშვენიერი და ხშირი წვერი.

**მრავალი სამადლობელი წერილები.**

მოწმობენ განსაცვიფრებელს მოქმედებას, ფასი შუშისა 1 მან. 50 კაპ. გაგზავნით ისყიდება რუსეთის ყველა სააფთეკო მაღაზიებში.

უმთავრესი დეპო ამიერ — კავსახიისათვის ტფილისში საზოგადოება სააფთიექო საქონელითა და მასალით ვაჭრობასა და მისი განყოფილება ბაქოში. Ц. 19,475.

(10—2)

**რამაშკა ბურელისა**

საუკეთესო საშუალება აქამომდე ცნობილ საშუალებათა შორის.

უეცრად სწყვეტავს ყოველ-გვარ შინაური მწერს, როგორც მაგ. შრიჭინებს, პრუსაკებს, ბაღლინჯოებს, რწყილებს, ჭიანჭველებს, ნამის ჭიებს და სხვ.

**იგი მოქმედობს უეცრად,**

არ შეიცავს არავითარ კაცის ჯანისათვის მავნებელს ნივთიერებას. რომ არავინ არ მოატყუოს თავად მიითვისოს ამ წამლის გამოგონება, გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება გამომგონის ხელის-მოწერას, რომელიც ამ „რამაშკა ბურელის" ყველა კოლოფზეა.

ფასი კოლოფისა 75 კაპ. და 40 კაპ.

ისყიდება ყველა რუსეთის საუკეთესო მაღაზიებში.

უმთავრესი დეპო ამიერ—კავკასიისათვის არის ტფილისში „კავკასიის საზოგადოება საათფთიაკო საქონლით ვაჭრობასა და მის განყოფილებში ბაქოს. Ц. 19,485

(25—2)


*Доз. ценз. Тифлисъ, 26 Ноября 1884 г.* სტამბა არ. კალანდაძისა და ამხ. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.